პროექტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლისა და 56-ე მუხლის პირველი პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.

2. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ინფორმაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისის წევრთა მიერ დარღვევების ჩადენის თაობაზე.

3. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა მიერ დარღვევების (კერძოდ, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, დოკუმენტების გაყალბება, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, კომისიის წევრთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევა, კომისიის წევრების ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების არსებობა) ჩადენის საკითხის შესწავლა.

4. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადაა 3 თვე.

5. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 12 წევრით.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,
2013 წლის --- მარტი.